პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 177 (6232)

1978 წ. 9 სექტემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ ეკონომიური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის მეათე ხუთწლედის ორ წელიწად ნახევარში შესრულების შედეგების და მისი მეორე ნახევრის ამოცანების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთიანი დადგენილებით დასახეს მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და 1978 სამეურნეო წლის და მთელი მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან ტელეფონით გვატყობინებს:

# სიმხნევისა და სიჭაბუკის ზეიმი დაიწყო

6 სექტემბერს დილას არმიელთა სპორტული კლუბის საცურაო აუზში სასტარტო პისტოლეტის ხმა გაისმა და ნორჩთა ბრინჯაოსფერი სხეულები ლურჯად მოლივლივე წყალში გაუჩინარდნენ. ასე აიღო სტარტი მოცურავეთა ასპარეზობამ. ასე დაიწყო მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა — ბავშვთა სპორტის დიდი ფორუმი.

სპარტაკიადის ემბლემებითა და დროშებით, ნაირფერი ლოზუნგებითა და პლაკატებითაა მორთული უზბეკეთის დედაქალაქის ქუჩები. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა, რომ ტაშკენტს სიჭაბუკის, ძალისა და სილამაზის ჭეშმარიტი დღესასწაული ეწვია. მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ათასობით სტუმარს მცხუნვარე მზით, თაიგულებითა და ღიმილით ხვდებიან ტაშკენტელები. ასე შეეგებნენ საქართველოს სპორტულ დელეგაციასაც, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში დაბანაკდა.

პირველი შთაბეჭდილებები, პირველი ნაცნობობა ქალაქთან, მასპინძლებთან და აი, სტარტიც შედგა. მედლების პირველი კომპლექტი მოცურავეებმა გაითამაშეს. „ანგარიში გახსნა" 16 წლის ხარკოველმა გოგონამ ტ. მაციბორკომ. მან 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედალი დაისაკუთრა. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ამ დისტანციაზე, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვერაფრით გაგვახარეს.

იმავე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ მოფარიკავეები, მოკრივეები, წყალში მხტომელები. მუშკეტერები „ემლიკის" სპორტულ არენაზე ასპარეზობენ. გოგონათა პირად პირველობაში კარგად გამოდის თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ე. მარსაგიშვილი. მან წინასწარი შეხვედრები დიდი ალმავლობით ჩაატარა და ფინალისტთა ექვსეულში ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვა. სამწუხაროდ, თავი ვერაფრით გამოიჩინეს საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონმა თ. ერებაშვილმა, რომელიც მე-17 ადგილზე გავიდა და ქუთაისელმა მ. კანდელაკმა (36-ე ადგილი), ხოლო თბილისელი ი. სხირტლაძე 64-ე ადგილს დასჯერდა.

უფერულად გამოდიან ხმლით მოფარიკავე ჭაბუკები: ყველა ფინალის მიღმა დარჩა. ახლა შეჯიბრებაში რაპირისტები ჩაებმებიან, მერე კი გუნდური ტურნირი გაიმართება.

მოკრივეთა ასპარეზობის მონაწილეთაგან რინგზე პირველად ჩვენი რესპუბლიკიდან დ. უსუპიანს (54 კგ) უხმეს. მან აშკარად დაჯაბნა რ. კარიბინი (თურქმენეთი) და აქტივში პირველი გამარჯვება ჩაიწერა. მაგრამ პირველ დღეს გამართული სხვა შეხვედრებიდან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ბრძოლები დაბალ დონეზე ჩაატარეს. დ. კიკაშვილი (57 კგ) დამარცხდა კ. მელიქოვთან (აზერბაიჯანი), გ. გოგიამ (60 კგ) წააგო მ. ყურმანბაევთან (ყირგიზეთი).

სპარტაკიადის მეორე დღეს რინგზე საქართველოს კიდევ ორი წარმომადგენელი გამოვიდა და ორივემ მარცხი იწვნია. რ. ალოიანმა (48 კგ) ქულებით დაუთმო ი. ბეგბუატოვს (ყირგიზეთი). მართალია, თბილისელმა რ. ბუიუკლიანმა (57 კგ) კიშინიოველ ს. ვისმართან ორთაბრძოლაში მეორე რაუნდში მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა, მაგრამ მესამე რაუნდში მისი ბედი თვითონ გაიზიარა და საბოლოოდ წაგება მიესაჯა.

სამმეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში საქართველოს გოგონებმა დამაკმაყოფილებელი სტარტი აიღეს — 12 ფინალისტს შორის ორი ჩვენი გუნდიდან იყო. საბოლოოდ ე. ბელევამ XII ადგილი დაიკავა, ხოლო ი. გუტიაკულოვამ 343,020 ქულა მოაგროვა და VII ადგილზე გავიდა. აქ სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა კიეველი ჟ. ცირიულნიკოვა — 425,25 ქულა.

სპარტაკიადა გრძელდება.

# თბილისი—მცირე მიწა—თბილისი

ასეთია საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს ინიციატივით მოწყობილი ავტომოტოგადარბენის მარშრუტი.

ლაშქრობაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მონაწილეობენ: არქიტექტორი ე. ხუროძე, ახალგაზრდა მეცნიერი თ. კოჩინაშვილი, სპორტული მუშაკი ს. გალსტიანი, ზეინკალი დ. ვორობიოვი, ენერგეტიკოსი ა. გაგნიძე, მეტალურგი ი. ბალაშოვი და სხვა ავტომოგზაურობის 20 ენთუზიასტი, სულ 10 ეკიპაჟი. ისინი გზადაგზა შეხვდებიან ლეგენდარული მე-18 არმიის ვეტერანებს. მცირე მიწაზე ინახულებენ ღირსშესანიშნავ ადგილებს. ყველაფერი ეს საფუძვლად დაედება დოკუმენტურ ფილმს, რომელსაც თვით ავტომოტომოყვარულები შექმნიან.

თბილისელებმა თავიანთი გადარბენა მიუძღვნეს გმირი ქალაქის — ნოვოროსიისკის ფაშისტი დამპყრობლებისგან განთავისუფლების 35-ე წლისთავს.

* * *

**სურათებზე:** ავტოგადარბენის მონაწილენი მარცხნიდან — ს. გალსტიანი, ავტოინსპექციის ინსპექტორი შ. ადუაშვილი, შრომის დაცვის ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. კოჩინაშვილი, თბილისის ქალაქის საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი ნ. ფირალოვი და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის თანამშრომელი ვ. პერშიკოვი სტარტის წინ; რბოლის ტრასაზე.

გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).





## ძიდაობა

### საქართველოს ძიუდოისტთა წარმატება

**ვარშავაში** დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 9 ქვეყნის ათლეტები მონაწილეობდნენ. წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. მეორე ადგილზეა უნგრეთის, მესამეზე — მასპინძელთა გუნდები. პირად პირველობაში ოქროს მედლები მოიპოვეს **შ. ხაბარელმა (მწვრთნელი ო. ნათელაშვილი) და ჯ. ნიჟარაძემ (მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი).** „ბრინჯაო" წილად ხვდა **დ. კოდანოვს (მწვრთნელი ვ. კბილაშვილი).**

**ტ. ჩუთლაშვილი,**
**რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი.**

## ტანვარჯიში

### მეგობრული ვიზიტით პერუში

**ლიმა.** პერუს დედაქალაქში დიდი წარმატებით ჩატარდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა. პირველ „ტანმოვარჯიშეთა კონცერტს" ქალაქის უდიდეს სპორტულ დარბაზში — „ამაუკას" კოლიზეუმში — დაესწრო რამდენიმე ათასი მაყურებელი.

განსაკუთრებული წარმატება ხვდათ მონრეალის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელს გუნდურ ჩათვლაში მოსკოველ სვეტლანა გროზდოვას, სსრ კავშირის ჩემპიონს მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში თბილისელ მალხაზ თათარაძეს, მოსკოველ ოლღა კოვალს და სხვებს.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ვიზიტი მიმდინარეობს ორი ქვეყნის სპორტსმენთა თანამეგობრობის პროგრამით. სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეები პერუელ სპორტსმენებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, გააცნობენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა მომზადების პროგრამასა და მეთოდიკას.

**(საკდესი).**

### იმარჯვეს საბჭოთა მეხანძრეებმა

**რიგის** „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა მე-9 საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, კუბის, მონღოლეთის, რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის კოლექტივები. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა საბჭოთა ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე არიან პოლონეთისა და გდრ-ის გუნდები.

საქართველოს სპორტკომიტეტში

# დაჯილდოება

საქართველოს სპორტკომიტეტმა რესპუბლიკის სპორტსმენთა ჯგუფი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში წარმატებებისთვის დააჯილდოვა კომიტეტის საპატიო სიგელით, სიგელებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო წიგნში შეტანილია და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა:

**გ. ბლაგიძე** — მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში;

საქართველოს სპორტკომიტეტის **საპატიო სიგელებითა** და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

**ლ. თედიაშვილი** — თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი;

**გ. ხანეევი** — სამხტომში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი;

**მ. თათარაძე** — ტაიჭზე ვარჯიშში და ბჯენით ხტომებში სსრ კავშირის ჩემპიონი;

**მ. კოკიანი** — ცხენის გაწვრთნაში სსრ კავშირის ჩემპიონი.

საქართველოს სპორტკომიტეტის **სიგელებითა** და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ:

**ნ. დერიუგინი** — იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი კალათბურთში;

**ზ. გრძელიძე** — იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი კალათბურთში;

**ბ. კოკორევი** — იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში და კონტინენტის რეკორდსმენი ტყვიის სროლაში;

**თ. იმნაიშვილი** — გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ჩემპიონი მრგვალ სტენდზე სროლაში;

**ტ. ძლიერი** — გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ჩემპიონი მრგვალ სტენდზე სროლაში;

**ს. გუმბა** — სსრ კავშირის ჩემპიონი ქალიშვილთა შორის, საქართველოს რეკორდსმენი და ჩემპიონი შუბის ტყორცნაში. მასვე მიენიჭა საქართველოს სპორტკომიტეტის **მედალი** ოთხი რესპუბლიკური რეკორდის დამყარებისთვის.

**ნ. ლაბაძე** — საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში. იგი დაჯილდოვდა, აგრეთვე საქართველოს სპორტკომიტეტის **მედლით** რესპუბლიკური რეკორდის დამყარებისთვის,

# დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავისათვის

## „პედაგოგიკის კრიტერიუმი მხოლოდ ერთია — თავისუფლება!"

„ჯანმრთელი ბავშვი იბადება რა ქვეყნად, იგი სავსებით აკმაყოფილებს სიმართლის, სილამაზისა და სიკეთის მიმართ წაყენებულ იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რასაც ჩვენ თვით ვატარებთ... დაბადებიდანვე ადამიანი წარმოადგენს ჰარმონიის, სიმართლის, სილამაზისა და სიკეთის პირველსახეს", — წერდა დიდი მწერალი და მოაზროვნე ლ. ტოლსტოი და ეს აზრი საფუძვლად დაუდო მის მიერვე ჩამოყალიბებულ პედაგოგიკურ თეორიას, რომელიც სწავლა-აღზრდის ისტორიაში „თავისუფალი აღზრდის" თეორიის სახელწოდებით დარჩა.

თავისი პედაგოგიკური შეხედულებები ლ. ტოლსტოიმ განახორციელა იასნაია პოლიანაში დაარსებულ სკოლაში. „თავისუფალი აღზრდის" თეორიაში ტოლსტოიმ გარკვეული თავისუფლება მიანიჭა ბავშვებს. მათთვის არ იყო სავალდებულო ყოველდღიური გამოცხადება სკოლაში. სასწავლებელს არ გააჩნდა მტკიცე ცხრილი, რის გამოც მოსწავლეთა დაინტერესების შემთხვევაში, როგორც თვით ტოლსტოი აღნიშნავდა, ერთი საგნის სწავლება ზოგჯერ საღამომდე გრძელდებოდა სხვა საგნების ხარჯზე. მართალია, საერთო ანგარიშში აღნიშნული თეორია და იასნაია პოლიანას სასკოლო პრაქტიკა გარკვეული ნაკლით ხასიათდებოდა, მაგრამ მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თავისებურ პროტესტს იმ პერიოდის სასწავლებლებში დანერგილი ფორმალიზმის, ბავშვთა ჩაგვრისა და დამცირების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ იასნაია პოლიანას სკოლაში ბავშვებს ფიზიკური ვარჯიშობის კარგი პირობები გააჩნდათ. ამ სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე იგონებს: „დიდ, თავისუფალ ოთახში მოწყობილი იყო ღერძი და რგოლები, დანადგარები, ორფუთიანი, ფუთიანი და უფრო პატარა გირები. ერთი სიტყვით, ყველა ნივთი ტანვარჯიშული ხელოვნებისთვის. გვიყვარდა ვარჯიშობა ლევ ნიკოლოზის ძესთან ერთად".

ფიზიკური აღზრდაც, ისე როგორც საერთოდ მთელი სკოლის პრაქტიკა, „თავისუფალი აღზრდის" თეორიის პრინციპებზე იყო დაქვემდებარებული.

„...აბა ერთი, — ვკითხულობთ ერთ-ერთ მოგონებაში, — ლევ ნიკოლოზის ძევ, მე ამსვი, ვცდი ორივე ხელით, — თქვა იგნატიმ (ამ მომენტში ბავშვები ღერძზე ვარჯიშობდნენ. ა. ც.). ლევ ნიკოლოზის ძემ ასწია იგნატი. იგნატი ჰკიდია როგორც კუნძი. ყველაზე დიდი და ძლიერი იყო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჯანი მოსდიოდა, აწევა მაინც ვერ შეძლო...

— რას იზამ, იგნატ, — ამბობს ლევ ტოლსტოი, — დიდხანს იქნები ჩამოკიდებული?

— დამაცადეთ, — პასუხობს იგნატი ლევ ნიკოლოზის ძეს.

ჩერნოვი ხუმრობს: „აბა, გირებიც დაჰკიდო"

იგნატი იქნევს ფეხებს, სწევს მუხლებს და უნდა აწევა, მაგრამ ამაოდ".

ამ მოგონებაში ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პედაგოგი, ამ შემთხვევაში ტოლსტოი, აბსოლუტურად არ ერევა ბავშვთა მოქმედებაში, თავისი სურვილის მიხედვით არ წარმართავს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის პროცესს, რაც თავის მხრივ, ერთგვარ პროგრესულ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ (ბავშვს მიცემული აქვს სრული თავისუფლება).

დიდი რუსი მწერალი ღირსეულად აფასებდა ფიზიკურ ვარჯიშს, როგორც ბავშვთა აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ მხარეს. ფიზიკური აღზრდისადმი ამგვარი დამოკიდებულება და პატივისცემა ტოლსტოის ახალგაზრდობაშივე შეიმუშავდა და სიბერემდე არ თმობდა. როგორც ცნობილია, ტოლსტოი ბევრს ვარჯიშობდა ცხენოსნობაში, ფარიკაობაში, სროლაში, ჩოგბურთში, დადიოდა, ნადირობდა, თამაშობდა ქალაქობანას, სეირნობდა ველოსიპედით და ა. შ. ტოლსტოის 1851 წლის 28 თებერვლის დღიურში ვკითხულობთ: „ხვალინდელი დღის პროგრამა. ადგომა 9 საათზე. ვიკითხო ენციკლოპედია და დავწერო კონსპექტი. წავიდე გასვენებაზე, შემდეგ ტანსავარჯიშოდ, ვისადილო და 6 საათიდან 12 საათამდე ვიმუშაო მარტო, ან კოლოშინთან ერთად. არ მოვწიო". მწერალი იმავე წლის 13 მარტის დღიურში წერს: „ტანვარჯიშში ვეჯიბრებოდი ვილის". 20 მარტის დღიურში კი: „10-დან 11 საათამდე ფარიკაობა". ტოლსტოის პირადი მდივანი ჩერტკოვი იგონებს, რომ ტოლსტოის სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ქალაქობანას თამაში. ერთხელ 20 წლის ჩერტკოვი დამარცხდა 82 წლის მწერალთან. საინტერესოა ასეთი ფაქტიც. 1896 წელს ტოლსტოების ოჯახს ესტუმრა ექიმი ქალი, რომელმაც გასინჯვის შემდეგ სასტიკად აუკრძალა მწერალს ველოსიპედით სეირნობა. იგივე დასკვნა გაუკეთებია პროფესორ ზახარინსაც. ამის შესახებ 10 წლის შემდეგ ტოლსტოი წერდა: „მე ალბათ დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი, მათი რჩევა-დარიგებისთვის ყური რომ მეგდო და კუნთებისთვის სამუშაო არ მიმეცა, რაც მამაგრებს, მაძინებს შესანიშნავად და მანიჭებს მხნეობას".

დიდ მწერალ ტოლსტოის ფიზიკური განვითარების საშუალებად გამოყენებული ჰქონდა ფიზიკური შრომა: სხვა მასალებთან ერთად ამ ფაქტზე მიუთითებს აქამდე ჩვენთვის უცნობი წერილები, კერძოდ, ცხრაასიანი წლების ამერიკელი ჟურნალისტების ჩანაწერები, რომლებიც მხოლოდ ახლახან ითარგმნა რუსულად. ენდრიუ უაიტი 1901 წელს ჟურნალ „აიდლერში" წერდა: „მე ვკითხე ტოლსტოის ფიზიკურ შრომაში მისი მონაწილეობის შესახებ. მან მიპასუხა, რომ დგება ადრიანად და შუადღემდე კითხულობს ან წერს, მერე ნაყრდება, იძინებს მცირეხნით, შემდეგ კი მუშაობს ბაღში ან მინდორში. ტოლსტოი თვლის, რომ ფიზიკური შრომა ეხმარება მას ყოველმხრივ, და მე მთლიანად ვეთანხმები მწერალს". 1909 წელს კი გაზეთ „უორლდში" ჰენრი ჯორჯ-უმცროსი წერდა: „მან უარი თქვა თავადიშვილურ ცხოვრებაზე, უმაღლეს სიკეთედ ჩათვალა მშვიდობა და გლეხური შრომა, ჩექმების კერვაც კი — არა მარტო იმიტომ, რომ ფიზიკური შრომა საჭიროა ჯანმრთელობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ეს შრომა მეტად სასარგებლოა სხვა მხრივაც".

ამ სასარგებლო საქმიანობამ ლ. ტოლსტოის აჩუქა აქტიური დღეგრძელობა. ღრმა სიბერეშიც ავლენდა შესანიშნავ გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას. ჯეიმს კრილმენი 1903 წელს გაზეთ „უორლდში" იგონებდა: „ჯეჯილის გასწვრივ სეირნობის დროს მე და ტოლსტოი პატარა მდინარეზე უნდა გადავსულიყავით. გრაფი მსუბუქად გადაევლო მას. იგი საოცრად ძლიერი და მტკიცე აგებულებისაა".

როდესაც ლაპარაკია დიდი მწერლის ახალ თეორიასა და ფიზიკური აღზრდის იდეებზე, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართველმა მოღვაწეებმა აიტაცეს ეს თეორია და მისი ავტორის მისამართით არაერთხელ გამოუთქვამთ კეთილი აზრი ქართულ პრესაში, განსაკუთრებით კი ჟურნალ „განათლებაში". მართალია, ზოგიერთი ფრთხილად ეკიდებოდა ტოლსტოის „თავისუფალი აღზრდის" თეორიას, მაგრამ ავტორთა უმრავლესობა იწონებდა მას, როგორც პროგრესულს და მოითხოვდა ამ იდეის პრაქტიკაში გამოყენებას. ჟურნალ „განათლების" რედაქტორი ლ. ბოცვაძე შეახსენებდა მკითხველს და ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას, რომ „თავისუფალი აღზრდის" მეთოდები განსაკუთრებით გამოსაყენებელია ქართულ მოძრავ თამაშებში, „რომელშიც ბავშვებს შეაქვთ თავისი გულის ზრახვანი, შემოქმედება და თვით მოქმედება. ყველაზე უფრო საყვარელიც ის სათამაშო ნივთია, რომელიც ბავშვს თვითონ თავისი ხელით, გონებით შეუქმნია". ჟურნალის მეორე ავტორი გ. ჯაკობია, სრულიად ეთანხმება რა ლ. ბოცვაძეს, აღნიშნავდა: „თამაში ნიშნავს თავისუფალ მოძრაობას და შენი მოქმედების თავისუფლად გამოჩენას; თამაში გულისხმობს მოქმედების თავისუფლებას, თვითნებობას, აი
ამაშია მისი განსაკუთრებული
მზრდელობითი მნიშვნელობა...
[illegible] თამა
[illegible] თვითნებობას. დე, იმოქმ
[illegible] ულობი

საინტერესოა, რომ ჟურნ
„განათლების" რედაქტორი ლ. ბ
ცვაძე ბევრ საერთოს ხედავს ტ
ლსტოის „თავისუფალი აღზრდ
თეორიასა და აკაკი წერეთლ
პედაგოგიურ აზრებს შორის.
ასთან, ბოცვაძე მხარს უჭერდა
აკის, რომელიც გმობდა იმ პერ
ოდის სკოლებში დანერგილი ტ
ნვარჯიშის მახინჯ ფორმებს და
დეალებდა ქართულ საბავშვო მ
ძრავ თამაშებს, წერილში — „ა
კის პედაგოგიური აზრების მოკ
მიმოხილვა", ლ. ბოცვაძე წერ
„გარდა იმისა, რომ პოეტი სრ
ლიად უარყოფს გიმნასტიკას
მავნებლადაც მიაჩნია იგი, რ
მისივე სიტყვებიდან ჩანს, ამონ
წერიდან (ლ. ბოცვაძეს წერილ
წინა ნაწილში მოყავს ციტატი ა
აკის „ჩემი თავგადასავლიდან",
ც.) ის აზრიც გამოდის, რომ ბა
შვებს ნაძალადევად არაფერი
უნდა მოახვიო თავს, იგი უნდა
რდებოდეს მისი ბუნების მიხედ
ით, მაშასადამე „რაც ჩვენ გ
ჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენ
ეს ნიშნავს ბავშვის სულიერი
ხორციელი ძალის ტანჯვას, რ
აც სასტიკად ეწინააღმდეგებ
ყველა „თავისუფალი აღზრდ
მოტრფიალენი".

როგორც აღვნიშნეთ, ქართვე
მოღვაწეთა შორის ზოგიერთნი შ
დარებით ფრთხილად ეკიდებო
ნენ ლ. ტოლსტოის „თავისუფალ
აღზრდის" თეორიას, მაგრამ, გრ
ნობდნენ რა მის საერთო პროგრ
ესულობას, მოითხოვდნენ ამ იდე
ის მხოლოდ რამდენიმე სკოლაშ
დანერგვას და, გამართლების შ
მთხვევაში, მისთვის უფრო ფარ
თო გზის გახსნას.

მიუხედავად ზოგიერთი ნეგატ
იური ნიუანსებისა, საქართველ
და მთელი პროგრესული რუსეთ
დიდი პატივისცემით ეკიდებო
და ეკიდება ამ ახალ სიტყვას პე
დაგოგიკაში, მას ხომ საფუძვლა
უდევს სიკეთე და კაცთმოყვარე
ბა, დიდი მწერლის მიერ გადმო
როლილი ბევრის მთქმელი ლოზ
უნგი: „პედაგოგიკის კრიტერიუ
მი მხოლოდ ერთია — თავისუფ
ლება!"

ა. ციბაძე,
დოცენტი.

---

მაღალ დონეზე ჩავატაროთ ანგარიშგება-არჩევნები

# ჯანსაღი კრიტიკა დაგვეხმარება

**პროფკავშირების** ფიზკულტურული ხელმძღვანელი ორგანოების რწმუნებების ვადების გასვლასთან დაკავშირებით, სპორტულ საზოგადოებათა ფიზკულტურულ ორგანიზაციებში იწყება ანგარიშგება-არჩევნები.

ეს კომპანია საამქროებში, განყოფილებებში, უბნებზე 10 ოქტომბრამდე ჩატარდება. ფიზკულტურული კოლექტივების კრებები და კონფერენციები — 10 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე გაიმართება, რის შემდეგ მოეწყობა სპორტულ საზოგადოებათა რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები მუდამ ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში. აქ იწყობა გულახდილი სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ რა გააკეთა ფიზკულტურულმა კოლექტივმა განვლილ პერიოდში, აქ არკვევენ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებს, პრინციპულად აფასებენ თავიანთ არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებისთვის სახავენ ღონისძიებებს.

წლევანდელი კომპანია ემთხვევა პერიოდს, როცა საბჭოთა ხალხი ახალ წარმატებებს აღწევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მე-X ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის შემხვედრი გეგმების შესრულებისთვის ბრძოლაში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, კონფერენციებზე უნდა გაჩაღდეს მსჯელობა იმის შესახებ, თუ საანგარიშო პერიოდში როგორ იზრდებოდა ფიზკულტურელთა რიგები, როგორი იყო სასწავლო-სპორტული მუშაობის დონე, რა მიღწევებია მოპოვებული მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიების კომპლექსით გათვალისწინებული ფორმების დანერგვის საქმეში, რა დონეზე დგას საწარმოო ტანვარჯიში, რა გაკეთდა სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატებისთვის, როგორ ფართოვდება სპორტულ ნაგებობათა ქსელი და სხვა.

განსაკუთრებული მსჯელობის საგნად უნდა გახდეს ის, თუ რა მიღწევებია მოპოვებული ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესრულებაში, როგორია ამ მიმართებით გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და ა. შ.

აზრთა ურთიერთგაზიარების ნაყოფიერება, მიღებულ გადაწყვეტილებათა ქმედითობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის მომზადებული კრება (კონფერენცია), რამდენად შინაარსიანია საანგარიშო მოხსენება, შექმნილია თუ არა გულახდილი განხილვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, რამდენადაა დაცული ორგანიზაციის საწესდებო მოთხოვნები.

საჭიროა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ხელმძღვანელებმა არა მარტო დაამტკიცონ კრებებისა და კონფერენციების ჩატარების ზუსტი გრაფიკი, გამოყონ წარმომადგენლები მათ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, არამედ საჭიროა ქმედითი დახმარება გაუწიონ ფიზკულტურულ კოლექტივებს, სპორტულ კლუბებს კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებაში, გაითვალისწინონ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ყველა კრიტიკული შენიშვნა.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების თაობაზე ივნისში იმსჯელა და სათანადო ღონისძიებანი დასახა: შედგა და დამტკიცდა ფიზკულტურულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების ჩატარების გრაფიკი. ამჟამად „განთიადის" ორგანიზაციებში გაშლილია მოსამზადებელი მუშაობა, რომ ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, სპორტულმა კლუბებმა, რაიონულმა, საქალაქო, საოლქო საბჭოებმა თავიანთი საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების შესახვედრად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლები გადაჭარბებით შეასრულონ. ბევრ ფაბრიკაში, ქარხანაში, სამშენებლო ორგანიზაციაში ფიზკულტურელებმა, სპორტსმენებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, რომ მომავალ კრებებსა და კონფერენციებს ახალი შრომითი მიღწევებითა და საწარმოო გეგმების შესრულებით შეხვდნენ.

რიგი ორგანიზაციების შემოწმებამ ცხადყო, რომ „განთიადის" მომსახურებაში შემავალი წარმოება-დაწესებულებების, სამშენებლო ორგანიზაციების უმრავლესობაში კრებებისა და კონფერენციების ჩასატარებლად ნაყოფიერი მუშაობაა გაშლილი. მაგრამ ისიც გამოირკვა, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია.

„განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ ამ დღეებში შეისწავლა და პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილა „განთიადის" ქუთაისისა და ტყიბულის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებისთვის მზადების საკითხი. ამ მიმართებით ორივე საქალაქო საბჭოს საგრძნობი მუშაობა ჩაუტარებია. პრეზიდიუმმა ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობასაც, რომ ქუთაისისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის ნაკლი: სუსტად მიმდინარეობს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ფიზკულტურის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების მნიშვნელობაზე და ამოცანებზე. ფიზკულტურულ კოლექტივებში არ არის სპეციალური კედლის გაზეთები, არ ტარდება ლექციები, მოხსენებები და საუბრები საბჭოთა კავშირის ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევებზე. როგორც ქუთაისში, ისე ტყიბულში ნელი ტემპით მიმდინარეობს ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევი კანდიდატების შერჩევა, დაბალია ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების საჯაროობა.

ანალოგიური მდგომარეობაა „სპეცტრესტმექანიზაციაში", თბილისის ბამბის ფაბრიკაში, № 2 სამშენებლო ტრესტში და სხვაგან.

ფიზკულტურულ ორგანიზაციებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ გულახდილობისა და ობიექტურობის ატმოსფერო, ჯანსაღი, მოურიდებელი კრიტიკა და თვითკრიტიკა, პრინციპულობა და სიმართლე იქნება საუკეთესო გარანტია იმისა, რომ ორგანიზებულად წარიმართოს ფიზკულტურული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნები, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებასა და მათი შრომისუნარიანობის ამაღლებას.

**ტ. კიკნაველიძე,**
**„განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.**

---

# ძევრელი ჭაბუკის წარმატება

ახალი კადრების სამჭედლო
წარმოადგენს თერჯოლის ბავშვთ
სპორტული სკოლა, რომელსაც სულ
რამდენიმე წლის ისტორია აქვს
მცირე დროის მონაკვეთში აქ ბე
ვრი რამ გაკეთდა ფიზიკური კულ
ტურისა და სპორტის მასობრიო
ბისათვის, ნორჩ სპორტსმენთა და
ოსტატებისათვის, ბეჯითი, ენერგი
ული პედაგოგებისა და მწვრთნე
ლების კარგი მუშაობის შედეგად
აღიზარდნენ ახალგაზრდები, რო
მლებიც წარმატებით გამოდიან
როგორც რაიონულ, ისე რესპუბ
ლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებ
ში.

მათ რიცხვს ეკუთვნის ძევრელ
მერაბ ფანჩულიძე, რომელმაც
წლის წინათ დაიწყო წვრთნა კლა
სიკურ ჭიდაობაში. მის აღმზრდელ
პედაგოგს, სპორტის ოსტატ შაქრო
ბერძენიშვილს ძალა და ენერგია
არ დაუზოგავს მისი დაოსტატები
სათვის, რამაც შედეგიც კარგი გა
მოიღო.

მიმდინარე წლის აპრილში გორ
ში ჩატარებულ ზონალურ შეჯიბ
რებაზე ფანჩულიძემ პირველი ად
გილი დაიკავა, მოსწავლეთა XXX
რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე კი
ზედიზედ დაამარცხა ყველა მო
წინააღმდეგე და ჩემპიონის წოდე
ბა მოიპოვა. საუკეთესო სპორტს
მენის აღზრდისათვის მწვრთნელ
შაქრო ბერძენიშვილი ოქროს მე
დლით დაჯილდოვდა.

ამას წინათ მერაბ ფანჩულიძე
მონაწილეობდა ქალაქ ლვოვში გა
მართულ „დინამოს" საკავშირო საბ
ჭოს პირველობაში, სადაც მეორე
ადგილი დაიკავა.

ახალგაზრდა სპორტსმენი რეს
პუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუ
ნდშია შეყვანილი.

ვ. კუტალაძე.

ვიეტნამელი სტუმრები საქართველოში

# გულთბილი შეხვედრა

6 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ მიიღო ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები და მისი ხელმძღვანელები. ვიეტნამის დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულია საკავშირო და საქართველოს სპორტკომიტეტების მოწვევით.

დ. პერტენავა სტუმრებს ესაუბრა საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების მეგობრულ დამოკიდებულებაზე, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მიღწევებზე, ქართული ფეხბურთის წარმატებებზე.

— სიამოვნებით აღვნიშნავ, — თქვა ვიეტნამის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჩუ კუანგმა, — რომ ვიეტნამისა და საქართველოს სპორტსმენთა შორის დიდი ხანია არსებობს მეგობრული თანამშრომლობა. ამგვარი ურთიერთობა კიდევ უფრო გაზრდის მეგობრულ კავშირებს.

ჩუ კუანგმა დიდი მადლობა გამოთქვა იმ ყურადღებისთვის, რომელსაც იჩენს საქართველოს სპორტკომიტეტი ვიეტნამის დელეგაციის მიმართ.

მიღებას დაესწრნენ ვიეტნამის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე ნგუენ ვან კუანგი, გუნდის უფროსი მწვრთნელი ჩან ზუი ლონგი, მწვრთნელი ტო ვან ხიენი, ნაკრების ექიმი ფამ სუან ნიანი, არბიტრი დაო დინ სუენი, საქართველოს სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

კ. სალუქვაძე.



სურათზე: მიღების დროს. ავტორის ფოტო.

## მატჩი რუსთავში

ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა ვიეტნამის ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინწინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. სტუმრებს მასპინძლობდნენ რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელები.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, შესვენების შემდეგ კი გატანილი იქნა 6 ბურთი — ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

მატჩის შემდეგ საუკეთესო მოთამაშეებს დამ ფიონგ ბაკგის, დინ სუან ხაოს, აშაძეს და მოზღუხინს გადაეცათ რუსთავის ალკკ საქალაქო კომიტეტის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები.

მატჩმა, რომელსაც სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი) საინტერესოდ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ვიეტნამელი სტუმრები იწვივნენ რუსთავის №3 პროფტექნიკურ სასწავლებელს, სადაც მათი თანამემამულეები სწავლობენ.

ზ. ჯორჯაძე, (ჩვენი საკ. კორ.).

სურათებზე: მატჩის დაწყების წინ ვიეტნამელი და ქართველი ფეხბურთელები ერთმანეთს გადასცემენ ყვავილებსა და ვიმპელებს; თამაშის მომენტი, ვიეტნამელთა მეკარე ნგო ვი ტიენი იღებს ბურთს.

რ. გაბრიჭიძის ფოტოები.





### მეშვიდე პარტია

როგორც [illegible] ოთხშაბათს ბიჭვინთაში ქალთა მსოფლიო [illegible] ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩში VII პარტია გათამაშდა, მაგრამ იგი იმ დღეს დაუმთავრებელი დარჩა. შეწყვეტილ პოზიციაში მსოფლიო ჩემპიონს ზედმეტი პაიკი და პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, ამიტომ გუშინწინ ჩიბურდანიძემ პარტია დათმო თამაშის განუახლებლად. ეს იყო გაფრინდაშვილის პირველი მოგება ამ მატჩში.

მატჩის ანგარიშია 4:3 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. VIII პარტია, რომელშიც თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი თამაშობს, დღეს, 9 სექტემბერს გათამაშდება.

გთავაზობთ VII პარტიას:

**ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილი**

**უფიმცევის დაცვა**

**1. e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. მf3 კg7 5. კe2 0-0 6. 0-0 c6 7. h3 მbd7 8. კf4 ლa5 9. ლd2 e5 10. კe3 ეe8 11. ეfe1 ლc7 12. de de 13. a4 კf8 14. კc4 მb6 15. კb3 კe6 16. კ:e6 ე:e6 17. ლe2 a5 18. ეed1 მfd7 19. b3 ეbe8 20. მd2 კb4 21. მa2 კc5 22. მc1 კd4 23. ეb1 მc5 24. c3 კ:e3 25. ლ:e3 მe6 26. მd3 ეad8 27. მ:e5 ლ:e5 28. ლ:b6 მf4 29. მf3 ე:d1+ 30. ე:d1 ლ:c3 31. ეd8 ე:d8 32. ლ:d8+ მფg7 33. e5 მe6 34. ლf6+ მფg8 35. მფh2 ლ:b3 36. მg5 მ:g5 37. ლd8+ მფg7 38. ლ:g5 ლe6 39. ლe3 ლd5 40. g3 b5 თეთრები დანებდნენ.**

გაფრინდაშვილმა მეორედ ამ ორთაბრძოლაში უფიმცევის დაცვას მიმართა. როგორც ადრე აღვნიშნა, იგი ღრმადაა გარკვეული ამ სადებიუტო სისტემაში და ბევრჯერ წარმატებით გამოუყენებია იგი. ამჯერადაც მსოფლიო ჩემპიონმა ადვილად გაათანაბრა თამაში.

მე-20 სვლისთვის შექმნილი პოზიცია დიდ გამჭრიახობას მოითხოვდა შემდგომი ბრძოლის გეზის არჩევისთვის. როგორც ჩანს, ჩიბურდანიძის მიერ წამოწყებული მხედრების მანევრები არ იყო სწორი. ფიგურების გადაჯგუფებას ბევრი დრო დასჭირდა და მსოფლიო ჩემპიონმა აქტიური თამაშის შესაძლებლობა მიიღო.

სპეციალისტების აზრით, ჩიბურდანიძემ იჩქარა ეტლების გაცვლა 31-ე სვლაზე (მეფით h2-ზე უნდა ეთამაშა) და მსოფლიო ჩემპიონმა უპირატესობა მოიპოვა. გადადებული პოზიციის საშინაო ანალიზმა აჩვენა, რომ შავებს ადვილი მოგება ჰქონდათ. ამიტომ შეხვედრა არც გაგრძელებულა.

## ჭადრაკი

### მეთოთხმეტე ყაიმი

გუშინწინ ბაგიოში ა. კარპოვ-ვ. კორჩნოის მატჩის XIX პარტია გათამაშდა.

მეტოქეებმა მეორედ აირჩიეს კატალონური დასაწყისი. მაგრამ ამჯერად პრეტენდენტი დიდი სიფრთხილით თამაშობდა. ბრძოლას პოზიციური იერი ჰქონდა. თანდათან მსოფლიო ჩემპიონი ინიციატივას დაეუფლა, მაგრამ მე-20 სვლაზე გაცვლები რომ დაიწყო, სწრაფად გაქრნენ დაფიდან ლაზიერები და რამდენიმე მსუბუქი ფიგურა. თამაში ენდშპილში გაგრძელდა.

გამარტივებულ პოზიციაში ძნელი შეიქმნა მოგების შანსის მიღება. ამიტომ მეტოქენი დაზავდნენ სვლების გამეორებით.

აი, XIX პარტიაც:

**კორჩნოი-კარპოვი**

**კატალონური დასაწყისი**

**1. c4 მf6 2. g3 e6 3. კg2 d5 4. მf3 კe7 5. d4 0-0 6. მbd2 b6 7. 0-0 კb7 8. cd ed 9. მe5 მbd7 10. მdf3 c5 11. b3 a5 12. კb2 მe4 13. ეc1 ეe8 14. მ:d7 ლ:d7 15. მe5 ლe6 16. მd3 კd6 17. cd bc 18. e3 a4 19. ba კa6 20. ეe1 კ:d3 21. ლ:d3 ე:a4 22. ლb3 ეaa8 23. კ:e4 de 24. ლ:e6 ე:e6 25. a3 ეa4 26. ეed1 f6 27. მფf1 მფf7 28. ეc2 კe7 29. ეd7 ეb6 30. g4 მფe6 31. ეc7 ეa8 32. ეd2 g6 33. მფg2 f5 34. g5 ეd6 35. ეc2 ეda6 36. h4 ე8a7 37. ეc8 ეa8 38. ეc7 ე8a7 39. ეc8. ყაიმი.**

მატჩის ანგარიში კვლავ ა. კარპოვის სასარგებლოდაა 4:1 (14 ყაიმი).

XX პარტია დღეს, 9 სექტემბერს გაიმართება.

ფეხბურთი

## საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

**თეირანი, 7 სექტემბერი.** ირანის დედაქალაქში ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად ჩავიდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა I ნაკრები გუნდი. დაძაბული შეხვედრა ირანის ნაკრებთან საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0. (ბურთი 30-ე წუთზე გაიტანა ხიდიატულინმა).

საბჭოთა ნაკრებმა ითამაშა ასეთი შემადგენლობით: დეგტიარევი, კონკოვი, ბუბნოვი, ქუპიკოვი, მახოვიკოვი, პრიგოდა, ხიდიატულინი, ბურიაკი, ბესონოვი, იარცევი (გაზაევი, ანი), ბლოხინი.

**სოფია.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა II ნაკრებმა აქ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ბულგარეთის ახალგაზრდულ გუნდთან. იგი დამთავრდა ფრედ — 1:1. სტუმართაგან გოლი გაიტანა უსტიმჩიკმა, ხოლო მასპინძელთა მხრივ — მარკოვმა.

### მეორე ლიგა

6 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების შეხვედრა. პერმის „ზვეზდამ“ თავის მინდორზე მიიღო სამტრედიის „ლოკომოტივი“.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

### საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე გამოტოვებული შეხვედრა. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „სქური“ (წალენჯიხა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 6:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0. ქარელის „იბერია“ არ გამოცხადდა სათამაშოდ ხობის „კოლხეთთან“, რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება.

## „დინამო“ იწვევს

თბილისის „დინამოს“ ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზებული სკოლა აწარმოებს 1964-71 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას.

სკოლაში მეცადინეობის მსურველთა მიღება იწარმოებს ყოველ დღე, დილის 10 საათიდან, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორზე.

### სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 9 სექტემბერი.** დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე).** დასაწყისი 11 ს.

## უცხოეთის ამბები

**რეიკიავიკი.** აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი IV ჯგუფის გუნდებს შორის. ისლანდიელმა ფეხბურთელებმა მიიღეს პოლონეთის ნაკრები.

მატჩი მოიგეს პოლონელებმა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს კუსტომ და ლატომ. ამავე ჯგუფში გამოდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიისა და შვეიცარიის გუნდები.

**ჟენევა.** ევროპაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები. პირველი შეხვედრა ამერიკელებმა წააგეს შვეიცარიის გუნდთან — 0:2.

**ლაიფციგი.** აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

## ფრენბურთი

**ლენინგრადში** დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი. ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ იაპონელი და კუბელი სპორტსმენები. თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლებმა დამაჯერებლად მოუგეს მეტოქეებს — 3:0 (15:6, 15:9, 15:10) და პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ამჯერად უკვე ექს-ჩემპიონებმა, იაპონელმა ფრენბურთელებმა. ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში სსრ კავშირის ფრენბურთელებმა მოუგეს სამხრეთ კორეის სპორტსმენებს — 3:1 (15:2, 15:7, 11:15, 15:9) და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

# მხოლოდ ერთ ტაიმს...

## რეგბი

### სსრ კავშირის პირველობა

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 6 სექტემბერი.**

**„ელვა“ (თბილისი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მონინო) 3:16 (3:0).**

**„ელვა“: კოტრიკაძე, დადეშქელიანი, ჭანკოტაძე, შავდია (რეხვიაშვილი), გრიგოლავა, ჯალაღონია, ჩოგოვაძე, ეკალაძე, გოგიჩაიშვილი, ცინცაძე, ნაცვლიშვილი, აბაშიძე, ერიკაშვილი, პაიჭაძე, ვაზაგაშვილი.**

**სსა: ივანოვი, თუშიშვილი, მედვედი (პრონინი), შეველიოვი, კლიუქვინი, სოროკინი (ალიოშინი), სემენიხინი, ტიხონოვი, კულიკოვი, პროშინი, მგელაძე, ერმაკოვი, კარპუხინი, ვორონოვი, ბობროვი.**

**მსაჯი პ. ასლანიანი (ერევანი).**

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თბილისელმა რეგბის მოყვარულებმა „ელვას“ შემადგენლობაში კვლავ იხილეს ამ გუნდის ვეტერანი და წარსულში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი ვ. აბაშიძე, რომელიც ამ დღეს ჩვეული ოსტატობით თამაშობდა. 28-ე წუთზე საჯარიმოდან სწორედ აბაშიძემ გაატარა ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის.

ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი სსა, რომელიც წლეულს საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა რიგებს გამოეთიშა და ახლა უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის, ყველა მატჩს თავგამოდებით თამაშობს და სასურველ მიზანთანაც ყველაზე ახლოს იმყოფება. სტუმრებმა ამ დღესაც მთელი შეხვედრა ენერგიულად ჩაატარეს, მაგრამ შესვენებამდე „ელვის“ დაცვასა და დაუღალავ იერიშებს ვერაფერი მოუხერხეს.

მასპინძელთა მრავალფეროვანი კომბინაციები სწორედ მოწინააღმდეგის კარის მისადგომებთან იფუშებოდა. „ელვა“, რომელმაც მთელი ძალები გამუდმებულ შეტევებს შეალია, მეორე ტაიმში ენერგიულად ველარ თამაშობდა.

სტუმრებმა მატჩის მეორე ნახევრის 40 წუთში 3-ჯერ აილეს თბილისელთა „ქალაქი“ და ორჯერაც რეალიზაცია ზუსტად გამოიყენეს.

ო. ივდოშვილი.

• • •

„ელვას“ წინა ტურის შეხვედრაში გასვლითი მატჩი ჰქონდა ქუთაისის „სახლმშენთან“ და დამარცხდა 0:15.

# საპარაშუტო კვარცხლბეკზე... ციდან

**იუგოსლავიის** ქალაქ ზაგრებში დამთავრებულ პარაშუტისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ლვოველმა სპორტსმენმა იგორ ტერლომ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. მანვე დაიმსახურა ვერცხლის მედალი 800 მ. სიმაღლიდან დაშვების სიზუსტეზე ხტომაში, სადაც პირველი ადგილის ბედი ცდების დამატებითმა სერიამ გადაწყვიტა. ტერლო და გდრ-ის სპორტსმენი ანდრეას პარში ზუსტად წრის ცენტრში დაეშვნენ 15-ჯერ. მე-16 ნახტომის შესრულებისას ლვოველი ერთი სანტიმეტრით ასცდა მიზანს. ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონობა პარშმა დაისაკუთრა.

ვაჟთა და ქალთა გუნდების შედეგების ჯამში საბჭოთა გუნდი უძლიერესი იყო. II ადგილზე გავიდა გდრ-ის ნაკრები, III ადგილი აშშ-ის სპორტსმენებს ხვდათ.

საბჭოთა სპორტსმენებმა სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. (საკდესი).

**ველოსპორტი**

## ორი ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისურითაა ს. სუხორუჩენკოვი

**საფრანგეთის** მრავალდღიანი ველორბოლის — „ტურ დე ლავენირის“ მეორე ეტაპმა (183 კმ), როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს მოუტანა. ფინიშთან პირველი მიიჭრა მშვიდობის წლევანდელ ველორბოლაში გამარჯვებული ა. ავერინი (კუიბიშევი) — 4:42.57.

ორი ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისურს ინარჩუნებს კუიბიშეველი ს. სუხორუჩენკოვი — 8:15.50. მას მიჰყვებიან ს. მოროზოვი (ლენინგრადი) — 8:16.40 და ავერინი — 8:16.43.

ავერინი ლიდერობს ყველაზე სტაბილური სპორტსმენის წოდებისთვის ბრძოლაში, ხოლო მოროზოვი — „მთის მეფის“ ტიტულისთვის.

საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზე მყოფ შვეიცარიის ველოსიპედისტებს 4 წუთსა და 2 წამს უგებს.

**ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში**



ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მრავალრიცხოვან პარკებში, სტადიონებ სა და მოედნებზე დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში ათასობით მოსკოველი ისვენებს.
ს უ რ ა თ ზ ე: იზმაილოვის პარკის ტბაზე.

საკდესის ფოტო.

**კალათბურთი**

# ფავორიტები ემზადებიან

●

### მსოფლიოს VIII ჩემპიონატის წინ



## იუგოსლავია

**თუ** ამერიკელები ჩემპიონატის № 1 ფავორიტებად არიან მიჩნეული, № 2 ფავორიტად უდავოდ იუგოსლავიის ნაკრები ითვლება. თუმცა, რასაკვირველია, ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში არც სხვა გუნდების ჩარევაა გამორიცხული.

ჯერ კიდევ ზამთარში მწვრთნელთა საბჭომ მიჩკო ნოვოსელის, რანკო ჟერა ვიცას, ალექსანდრე ნიკოლიჩის, ბოგდან ტანევიჩის და პეტერ სკანსის შემადგენლობით დაასახელა ის 46 კალათბურთელი, რომლებიც მანილის მსოფლიო ჩემპიონატისთვის უნდა მომზადებულიყვნენ. მარტში დასრულდა იუგოსლავიის პირველობა. ჩემპიონი გახდა სარაევოს „ბოსნა“, II ადგილზე გავიდა ბელგრადის „პარტიზანი“, ხოლო III იყო სპლიტის „იუგოპლასტიკა“. ამის შემდეგ ჯერი იუგოსლავიის თასის გათამაშებაზე მიდგა. იგი მაისის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა და სარაევოს „ბოსნას“ გამარჯვებით დამთავრდა. 1978 წლის საკალათბურთო სეზონში „ბოსნამ“ ე. წ. დუბლი გააკეთა. მას შემდეგ, რაც იუგოსლაველები მორჩნენ საშინაო საქმეებს, შეუდგნენ ჩემპიონატისთვის მზადებას, მაგრამ მოულოდნელად ამ გზაზე ორი სერიოზული დაბრკოლება შეიქმნა. პირველი დაბრკოლება ნაკრების მწვრთნელის ალექსანდრე ნიკოლიჩის სახელთან იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე — ნაკრების წამყვანი კალათბურთელის კრეშემირ ჩოსიჩთან. ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ მოსალოდნელი იყო ნიკოლიჩს დაეტოვებინა ნაკრების მწვრთნელის პოსტი და გადასულიყო ბელგრადის უნივერსიტეტის ფიზაღზრდის პროფესორად. საქმე კომპრომისით დამთავრდა: ნიკოლიჩმა დაიკავა ბელგრადის უნივერსიტეტის ექსტრაორდინალური (შტატგარეშე) პროფესორის ადგილი და დარჩა ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე. ცოტა მოგვიანებით იჩინა თავი ჩოსიჩის პრობლემამ. საკალათბურთო სეზონის დასასრულს იუგოსლავიის ნაკრების ბურჯმა დაიწყო მოლაპარაკება სახელგანთქმულ პროფესიულ კლუბ „ბოსტონ სელტიკსთან“. თუ ჩოსიჩმა დადო კონტრაქტი პროფესიონალებთან, იგი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს (შეგახსენებთ, რომ პროფესიონალები თავიანთ ჩემპიონატს ოქტომბრის მიწურულში იწყებენ. მსოფლიოს ჩემპიონატიც ოქტომბერში იწყება. ცხადია, ჩოსიჩს პროფესიული კალათბურთის მესვეურები ფილიპინებზე არ გაუშვებენ). ჯერჯერობით კი იუგოსლაველი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ჩოსიჩი წავა მანილაში.

1978 წლის 5-9 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის, კუბის, იუგოსლავიისა და მასპინძელთა მონაწილეობით ჩატარდა ე. წ. ოთხთა ტურნირი, რომელსაც ორგანიზატორებმა მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატი“ შეარქვეს. ეს ტურნირი იუგოსლავიის ნაკრების პირველი სერიოზული გამოცდა იყო ახალ სეზონში. აი ვინ იცავდა იუგოსლაველთა ღირსებას ამ ტურნირზე. ცენტრალური თავდამსხმელები: კრეშემირ ჩოსიჩი, ჟელკო ერკოვი, რაიკო ჟიჟიჩი, რატკო რადოვანოვიჩი, ანდრო კნეგო. თავდამსხმელები: დრაჟენ დალიპაგიჩი, მირზა დელიბაშიჩი, მიხოვილ ნაკიჩი. მცველები: პეტერ ვილფანი, დრაგან კიჩანოვიჩი, ბრანკო სკროჩე და რადოვიე ვუკასავლიევიჩი. ამ ტურნირზე იუგოსლავიის ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. ტურნირის პირველ დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ ძველი მეტოქეები — საბჭოთა და იუგოსლაველი კალათბურთელები. მატჩი იუგოსლაველთა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათი გამარჯვებით 97:79 (50:42). იუგოსლაველთა შორის თავი გამოიჩინეს დალიპაგიჩმა (28 ქულა), კიჩანოვიჩმა (26 ქულა) და ჩოსიჩმა (20 ქულა). აღსანიშნავია, რომ კიჩანოვიჩმა 14 ტყორცნიდან 13 მიზანს მოახვედრა. ტურნირის მთავარი პრიზი მასპინძლებს და იუგოსლაველებს შორის გათამაშდა. ეს შეხვედრა სპეციალისტებმა სრულიად სამართლიანად სცნეს ტურნირის საუკეთესო მატჩად. იუგოსლაველებმა ტოლი არაფერში დაუდეს მასპინძლებს. შეხვედრა უაღრესად დაძაბულ, თანაბარ სპორტულად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. მხოლოდ მატჩის უკანასკნელ წუთებში იჩინა თავი ამერიკელთა მცირე ტექნიკურმა და ტაქტიკურმა (არ უნდა დავივიწყოთ საკუთარი კედლების ფაქტორიც) უპირატესობამ. ანგარიშით 88:83 გაიმარჯვეს ამერიკელებმა. იუგოსლაველთა შორის შედეგიანი თამაშით გამოირჩეოდნენ კიჩანოვიჩი (22 ქულა) და დელიბაშიჩი (18 ქულა). ტურნირის უკანასკნელ მატჩში იუგოსლაველებმა 98:80 (54:28) დაამარცხეს კუბელები. გამოცდილ დალიპაგიჩთან (26 ქულა) ერთად ამ მატჩში კარგად ითამაშა ახალბედა ბრანკო სკროჩემ (17 ქულა). ტურნირის საუკეთესო ხუთეულში შეყვანილი იქნა ორი იუგოსლაველი კალათბურთელი, დრაგან კიჩანოვიჩი და დრაჟენ დალიპაგიჩი.

მაისის მიწურულს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ჩატარდა ტრადიციული ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი კალათბურთში. ნიკოლიჩმა თითქმის სულ ახალგაზრდები ათამაშა. ამას სრულიადაც არ შეუშლია ხელი მათთვის ტურნირი დამაჯერებლად მოეგოთ. ყოველივე ამან ნიკოლიჩს საშუალება მისცა ნაკრებში გამოეცადა 7-8 ახალგაზრდა კალათბურთელი. ამის შემდეგ მწვრთნელმა საბოლოოდ შეარჩია თავისი არჩევანი 15 კალათბურთელზე, რომლებიც ივლისის დასაწყისიდან უშუალოდ უნდა მომზადებულიყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატისათვის. აი ისინიც: ცენტრალური თავდამსხმელები: კრეშემირ ჩოსიჩი (210 სმ, 246 მატჩი ნაკრებში), ჟელკო ერკოვი (208 სმ, 119 მატჩი), რაიკო ჟიჟიჩი (210 სმ, 75 მატჩი), რატკო რადოვანოვიჩი (210 სმ, 65 მატჩი), დუიე კრისტულოვიჩი (201 სმ), ანდრო კნეგო (205 სმ, 75 მატჩი). თავდამსხმელები: დრაჟენ დალიპაგიჩი (196 სმ, 135 მატჩი), მირზა დელიბაშიჩი (197 სმ, 103 მატჩი), ჟარკო ვარაიჩი (201 სმ), სლობოდან სუბოტიჩი (201 სმ). მცველები: ზორან სლავნიჩი (181 სმ), დრაგან კიჩანოვიჩი (191 სმ, 135 მატჩი), პეტერ ვილფანი (190 სმ, 20 მატჩი), ბრანკო სკროჩე (193 სმ, 18 მატჩი). სათადარიგო მოთამაშეები: მცველი დამირ პავლიჩევიჩი (191 სმ). თავდამსხმელი მიხოვილ ნაკიჩი (203 სმ, 35 მატჩი) და ცენტრალური თავდამსხმელი ჟარკო კაპროვიცა (207 სმ).

აგვისტოს დამდეგს იუგოსლავიის გუნდი შეიკრიბა თავის საწვრთნელ ბაზაზე აიხორინაში. ეს არის შესანიშნავი ზამთრის კურორტი, სადაც 1984 წელს ჩატარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშები. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, როგორც ნიკოლიჩმა განაცხადა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, გუნდი 6 მატჩს ჩაატარებს.

იუგოსლავიის ნაკრებს არ აკლია პირველხარისხოვანი შემსრულებლები (სლავნიჩი, კიჩანოვიჩი, დალიპაგიჩი, დელიბაშიჩი). მაგრამ მათ შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურა უსათუოდ კრეშემირ ჩოსიჩია. რას აკეთებს ჩოსიჩი მოედანზე? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ჩოსიჩის უაღრესად საიმედო თამაში დაცვაში. ჩოსიჩი პირდაპირ აღუღაბებს იუგოსლაველთა დაცვას. შეუდარებელია თავდასხმაშიც. ჩოსიჩი ძალიან კარგად თამაშობს, როგორც საკუთარ, ისე მეტოქის ფარქვეშ. შემთხვევითი როდია, რომ ფარიდან ასხლეტილი ბურთების უმრავლესობა ჩოსიჩის ნადავლი ხდება. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, ადვილი გასაგები უნდა იყოს, თუ რაოდენ დიდი დანაკლისი იქნება ჩოსიჩის მანილაში წაუსვლელობა.

მ. კალანდაძე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 175,

(გაგრძელება იქნება.)

# ჩემპიონი ხვალ გაირკვევა

**კვირას** ჰანოვერში გაირკვევა ევროპის ჩემპიონის ვინაობა ბალახის ჰოკეიში. საბჭოთა ნაკრებმა, რომელიც „ბ“ ჯგუფში გამოდის, მორიგი მატჩი წააგო მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორთან — ჰოლანდიის გუნდთან — 1:4 და ნახევარფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა.

დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში საბჭოთა გუნდს კიდევ ერთი შესარჩევი შეხვედრა აქვს ჩასატარებელი — უელსის გუნდთან. ამ ჯგუფში ლიდერობენ ჰოლანდიელები (7 ქულა). ესპანეთისა და უელსის კოლექტივებს 5-5 ქულა მოუგროვდათ. ბოლო ადგილზე იმყოფება ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელმაც ფრედ (2:2) ითამაშა ევროპის ჩემპიონთან — ესპანეთის ნაკრებთან.

„ა“ ჯგუფში ლიდერთა სამეულში არიან გფრ-ის, ინგლისის (7-7 ქულა) და პოლონეთის (4) კოლექტივები.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**9-10 სექტემბერს**

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო კიკეთის მიდამოებში აწყობს **რესპუბლიკურ ორდღიან ტურისტულ შეკრებას, რომელიც კომკავშირის 60 წლისთავს ეძღვნება.** პროგრამაშია, აგრეთვე, შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში.

დასაწყისი 9 სექტემბერს 10 საათზე.

**„ლოკომოტივის“ სტადიონი**
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74).

9 სექტემბერს
**ფეხბურთი**
საქართველოს პირველობა
„სპარტაკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი)
დასაწყისი 17 ს. და 30 წთ.

●

10 სექტემბერს
**რაგბი**
სსრ კავშირის პირველობა
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ავიატორი“ (კიევი)
დასაწყისი 17 ს. და 30 წთ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; საშხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უა 02194